

ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N26 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაზე,
მოქალაქე გელა ლაბაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. გელა ლაბაძის განცხადებების (Nლ-7236 24.09.14; Nლ-8034 10.10.14) თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N26 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გელა ლაბაძეს /პ/ნ N60003006350/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი.გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N26 საცხოვრებელი სახლის N30 ბინაზე, საერთო ფართობი 71,11 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 44,87 კვ.მ. დამხმარე ფართობი 26,24 კვ.მ. მოქალაქე გელა ლაბაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია